



## სსიპ კოლეჯი მოდუსი

24/02/2025



MES 4 25 0000198356

### სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, განკარგვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის, ჩამოწერის და უტილიზაციის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე და 61-ე მუხლების, ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის კოლეჯი მოდუსის წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, განკარგვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის, ჩამოწერის და უტილიზაციის წესი თავისი დანართებით N1, N2, N3 და N4 ამ ბრძანების დანართების შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2023 წლის 15 მაისის N184 ბრძანება;
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდზე;
5. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს აღნიშნული ბრძანების გაცნობა კოლეჯის დირექტორის მოადგილეების, ხარისხის მართვის მენეჯერის, IT სპეციალისტისა და იურისტისთვის;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და  
ახალგაზრდობის სამინისტრო  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები  
სსიპ კოლეჯი "მოდუსი"  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი  
ქავთარაძე ნინო



სსიპ კოლეჯი „მოდუსი“



ნარჩენების მართვის გეგმა

ქ. რუსთავი

2025 წელი

I	<b>შესავალი</b>	
	<p>სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებულია საქართველოს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველზე. დოკუმენტის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების მართვის კოდექსი;</li> <li>• სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხა და კლასიფიკაცია;</li> <li>• ტექნიკური რეგლამენტი - სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები;</li> </ul>	
II	<b>ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ</b>	
1	ორგანიზაცია	სსიპ კოლეჯი „მოდუსი“
2	სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
3	იურიდიული მისამართი	ქ.რუსთავი, შარტავას ქ.4
4	რეგისტრაციის თარიღი	
5	საიდენტიფიკაციო კოდი	
6	დირექტორი	ნინო ქავთარაძე
7	გარემოსდაცვითი მმართველი	უსაფრთხოების ცვლის უფროსი - ბადრი მიშველაძე
8	საქმიანობის დეტალური აღწერა	<p>სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. ამ ეტაპზე კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს, რომლებიც დაფუძნებულია როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებზე. პრაქტიკული მეცადინეობები ე.წ. კეთებაზე სწავლება განაპირობებს სასწავლო მასალების ხარჯვას და შესაბამისად, წარმოიქმნება სახარჯი მასალის ნარჩენები.</p> <p>გთავაზობთ კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმას, შესაბამისი კლასიფიკაციით.</p>

III ინფორმაცია კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ					
ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო	სახიფათოობის მახასიათებელი	ფიზ. მდგომარეობა	ნარჩ. რაოდენობა
20 01 01	ქალაქი და მუყაო	არა		მყარი	200 კგ
04 02 16*	საღებრები და პიგმენტები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს	დიახ			
20 01 13*	გამსხნელი ნივთიერებები	დიახ		თხევადი	10 ლ
20 01 25	საკვები ზეთები და ცხიმები	არა		თხევადი	1 ლ
20 01 40	ლითონები	არა		მყარი	110 კგ
04 02 22	დამუშავებული საფეიქრო ბოჭკოების ნარჩენი	არა		მყარი	15 კგ
15 02 03	აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც არ გვხვდება 15 02 02 პუნქტში	არა		მყარი	35 კგ
20 01 36	წუნდებული ხელსაწყოები, გარდა 20 01 21, 20 01 23 და 20 01 35 პუნქტებით გათვალისწინებულ	არა		მყარი	
20 01 27*	საღებავები, მელნები, წებოვანი და რეზინის, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	დიახ	H3-A	მყარი	10 კგ
20 01 10	ტანსაცმელი	არა		მყარი	50 კგ

<b>15 02 02*</b>	აბსორბენტები, ფილტრის მასალები, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით	დიახ	H5/H-15	მყარი	
<b>17 04 11</b>	კაბელები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 04 10 პუნქტში	არა		მყარი	15 კგ
<b>20 01 11</b>	საფეიქრო ნაწარმი	არა		მყარი	10 კგ
<b>17 01 07</b>	ცემენტის, აგურების, ფილებისა და კერამიკის ცალკეული ან შერეული ნაწილები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 01 06 პუნქტში	არა		მყარი	120 კგ
<b>07 02 13</b>	პლასტმასის ნარჩენი	არა		მყარი	250 კგ
<b>13 07 01*</b>	საწვავი ზეთი და დიზელი	დიახ	H3-A/H5	თხევადი	
<b>17 06 04</b>	საიზოლაციო მასალები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 06 01 და 17 06 03 პუნქტებში	არა		მყარი	30 კგ
<b>17 04 06</b>	თუნუქი	არა		მყარი	70 კგ
<b>17 04 07</b>	შერეული ლითონები	არა		მყარი	20 კგ
<b>17 08 02</b>	თაბაშირის სამშენებლო მასალები, რომელსაც არ ვხვდებით 17 08 01	არა		მყარი	200 კგ

	პუნქტში				
17 02 01	ხე	არა		მყარი	20 კგ
12 01 13	შედულებისას წარმოქმნილი ნარჩენი	არა		მყარი	250 კგ

**IV. წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და სეპარირების მეთოდები**

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების და პროფესიული პროგრამების მიმდინარეობის პროცესში ორგანიზებული და დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, მათი სახეობის და საშიშროების ტიპის მიხედვით, კერძოდ, ნარჩენების სეპარირება მოხდება მასწავლებლების მიერ ლოჯისტიკის სპეციალისტთან ერთად, მათი წარმოშობისთანავე და განთავსდება ცალ-ცალკე მათთვის გამოყოფილ ურნებში ან სპეციალურად გამოყოფილ სათავსო ოთახში სახეობის და საშიშროების ტიპის მიხედვით.

**V. ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები**

სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვისთვის გამოყოფილია **დროებითი შენახვის წერტილები:**

აღნიშნული წერტილები მოწყობილია კოლეჯის საამქრო შენობაში და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, იზოლირებულ ოთახში (ბოქსში) და იზოლირებულ ტერიტორიაზე. კარებზე დაფიქსირებულია მაფრთხილებელი ნიშნები, რომელიც იუწყება სახიფათო ნარჩენების შესახებ და კრძალავს არავტორიზებული პირების ობიექტზე შეღწევას.

ოთახში შესასვლელთან, კედელზე განთავსებულია ცეცხლმაქრი და მისი გამოყენების ინსტრუქცია.

სახიფათო ნარჩენების წერტილზე დაშვება აქვს მხოლოდ დატრენინგებულ პასუხისმგებელ პერსონალს.

## VI. ინფორმაცია ნარჩენების ტრანსპორტიორი და გადამამუშავებელი კომპანიების შესახებ

სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ წარმოქმნილი ნარჩენები დაექვემდებარება განთავსების ოპერაციას.

კოლეჯის მხრიდან შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომლის მიერ, მოხდება იმ ტრანსპორტიორი კომპანიის მოძიება და თანამშრომლობა, რომელიც შეძლებს საჭიროებიდან გამომდინარე მომსაურების გაწევას.



დამტკიცებულია  
სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის  
2023 წლის 15 მაისის N184 ბრძანებით  
შეტანილია ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის  
2025 წლის 24 თებერვლის N198356 ბრძანებით

**სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, განკარგვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის, ჩამოწერის და უტილიზაციის წესები**

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. წინამდებარე წესი აწესრიგებს სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, განკარგვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის, ჩამოწერისა და უტილიზაციის წესებს.

1.2. ამ წესით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელია წინამდებარე წესით განსაზღვრული პირი/ები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის აქტებითა და წინამდებარე წესით.

## **მუხლი 2. სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების წესი**

2.1. პრაქტიკული სწავლების მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან/ პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის თაობაზე (მახასიათებლები და რაოდენობა), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის დაწყებამდე, აგრეთვე მოდულის მიმდინარეობისას.

2.2. მოკლევადიანი პროგრამების შემთხვევაში ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი პროგრამის განმახორციელებელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის თაობაზე (მახასიათებლები და რაოდენობა), სწავლების დაწყებამდე, ან სწავლების პროცესში.

2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელებისთვის, პრაქტიკული სწავლების მენეჯერის მიმართვის საფუძველზე პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აწარმოებს ბაზრის კვლევას, ხოლო შემდეგ ახორციელებს საჭირო რაოდენობის

სასწავლო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას, როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობისას.

2.4. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე, კოლეჯის მიერ მასალებისა და ნედლეულის შეძენა ხდება შეთანხმების საფუძველზე.

2.5. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის.

2.6. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით.

2.7. პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელის და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

2.8. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და საწყობის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით, შემოსული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

### **მუხლი 3. სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ინვენტარის, სახარჯი მასალებისა და ნედლეულის გამოყენების წესები**

3.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მისთვის გადაცემული ინვენტარის, სახარჯი მასალა და ნედლეული გამოიყენოს მოდულით განსაზღვრული პრაქტიკული სწავლებისთვის.

3.2. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მოდულის მიმდინარეობისას სისტემატიურად აწარმოოს გამოყენებული ან/და დაზიანებული ინვენტარის, მასალისა და ნედლეულის აღრიცხვიანობა და შესაბამის ინფორმაციას (**დანართი N1-ის ფორმით**) წარუდგენს პრაქტიკული სწავლების მენეჯერს, რომელიც აწვდის ინფორმაციას მწყობრიდან გამოსული/ დაზიანებული ინვენტარის შესახებ შესაბამის სამსახურებს არა უგვიანეს ერთი თვისა.

3.3. პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის/პროფესიული კურსის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, პროგრამის/კურსის მიმდინარეობისას სისტემატიურად აწარმოოს გამოყენებული ან/და დაზიანებული ინვენტარის, მასალისა და ნედლეულის აღრიცხვიანობა და შესაბამის ინფორმაციას (**დანართი N2-ისა და დანართი N3-ის ფორმით**) წარუდგენს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს, რომელიც აწვდის ინფორმაციას მწყობრიდან გამოსული/ დაზიანებული ინვენტარის შესახებ შესაბამის სამსახურებს არა უგვიანეს ერთი თვისა.

3.4. კოლეჯის უფლებამოსილი პირების მიერ შესაძლებელია პერიოდულად განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შედგენილი ან/და შესადგენი აქტების წარმოებაზე მონიტორინგი.

3.5. მოდულის მიმდინარეობისას გახარჯული ან/და დაზიანებული ინვენტარი, სახარჯი მასალა და ნედლეული, რომელიც ექვემდებარება ჩამოწერას, მტკიცებულების სახით უნდა იქნეს შენახული ჩამოწერის პროცედურების დასრულებამდე.

3.6. თუ მოდულით გათვალისწინებული სასწავლო - საწარმოო პროცესის დამთავრებისას, ეკონომიის ხარჯზე (ან სხვა მიზეზით) სახარჯი მასალა დარჩა გამოუყენებელი, ის ინახება პროფესიულ მასწავლებელთან მარაგის სახით, საგანგებოდ გამოყოფილ სივრცეში, რის შესახებაც ინფორმირებულია პრაქტიკული სწავლების მენეჯერი.

#### **მუხლი 4. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის წესი**

4.1. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი/პროდუქცია წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება სამი წლის ვადით. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროდუქციის შენახვა შეიძლება განხორციელდეს ან მატერიალური სახით ან ფოტო, აუდიო/ვიდეო გადაღების მეშვეობით ან/და სხვა მეთოდით და შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

4.2. სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი.

#### **მუხლი 5. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალების, ნედლეულის და შექმნილი პროდუქტის ჩამოწერის წესი**

5.1. პროგრამის დასრულების შემდეგ ინვენტარის, გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის / პროფესიული მასწავლებლის მიერ, პრაქტიკული სწავლების მენეჯერთან, თითოეული ჯგუფის ფარგლებში და/ან ინდივიდუალურად თითოეული სტუდენტის მიერ შევსებული სასწავლო მასალების ხარჯვის უწყისების მონაცემების შესაბამისად.

5.2 სასწავლო მასალების ხარჯვის უწყისები ინდივიდუალური ან ჯგუფური ინახება პრაქტიკული სწავლების მენეჯერთან.

5.3. საბოლოოდ ხარჯვის უწყისების გათვალისწინებით დგინდება გაუხარჯავი მასალა-ნედლეულის მარაგების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება მომდევნო ჯგუფების სასწავლო მასალების მოთხოვნისას.

#### **მუხლი 6. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი**

6.1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს (დანართი N4-ის შესაბამისად).

6.2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს.

6.3. კოლეჯის ტერიტორიაზე ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

6.3.1. ნარჩენების შეგროვება, ტიპობრივად დახარისხება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სივრცეში (ბაზაზე);

6.3.2. ნარჩენების გადატანა სანაგვე კონტეინერებში;

6.3.3. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა კოლეჯის ტერიტორიაზე ხდება სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში და ნადგურდება შესაბამისი წესით. არასახიფათო (უსაფრთხო) ნარჩენები შეიძლება განთავსდეს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.

6.3.4. მალფუჭებადი პროდუქტების ნარჩენები არ ინახება, გადის კოლეჯის ტერიტორიაზე არსებულ სანაგვე კონტეინერებში, რომელიც იცლება კანონით დადგენილი წესით, შესაბამისი პერიოდულობით.

#### **მუხლი 7. კონტროლი და პასუხისმგებლობა**

ამ წესით გათვალისწინებული პირობების კონტროლი და შესრულება ეკისრებათ კოლეჯის თანამშრომლებს, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისად.

#### **მუხლი 8. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

8.1. წინამდებარე წესში ცვლილებების ინიცირება ხდება საკანონმდებლო ცვლილების ან/და კოლეჯის საჭიროებისამებრ.

8.2. წინამდებარე წესის დარღვევა, იწვევს კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული წესების დარღვევასაც და დამრღვევ პირს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

8.3. ეს წესი ამოქმედდეს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე.



**სასწავლო მასალების ხარჯვის უწყისი**

**პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა :**

**განხორციელების პერიოდი:**

**ჯგუფი # :**

#	მსმენელების სია	სასწავლო მასალების ჩამონათვალი	საზომი ერთეული	რაოდენი	თარიღი	მსმენელის ხელმოწერა	განმასწავლებლის ხელმოწერა	შენიშვნა
1								

**პასუხისმგებელი პირი:**  
**ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი** /რუსუდან ქურასბედიანი/

სასწავლო მასალების ხარჯვის უწყისი					
პროფესიული მომზადების /გადამზადების პროგრამა სახელწოდება:					
განხორციელების პერიოდი:					
N	დასახელება	საზომი ერთეული	თარიღი:		
			რაოდენობა	მსმენელის ხელმოწერა	განმახორციელბლის ხელმოწერა
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					

პასუხისმგებელი პირი:

ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი

/რუსულდან ქურასხედიაანი/